**მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -**

**სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის**

**ოქმი №1**

ქ. მარტვილი

14 ნოემბერი 2022 წელი

სხდომის დაწყების დრო: 14:40 სთ.

*სხდომას ესწრებოდნენ:* (საბჭოს სრული შემადგენლობა - 10 წევრი)

1. **ნუკრი კუპრავა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე (**სხდომის თავმჯდომარე**);
2. **დარეჯან ცინარიძე** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
3. **ინეზა ქუთათელაძე** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
4. **გოგილო ბასილაია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
5. **სოფიო სურმავა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
6. **ზაზა გეგია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
7. **ზვიად ჯოჯუა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
8. **მიხეილ ჯანაშია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
9. **ნინი ზარქუა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;

*ასევე:*

10. **თორნიკე ჯანაშია -მუნიციპალიტეტის მერი;**

11. **ბონდო თოფურია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის–საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ.
12. **ქეთევან ბაჩილავა** - ხელმძღვანელის–საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი.

**დღის წესრიგი:**

1. **მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ** /მომხსენებელი: ბონდო თოფურია - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის–საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/;

2. **მარტვილის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ** /მომხსენებელი: ბონდო თოფურია - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის–საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/;

1. *მოისმინეს:* მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ბონდო თოფურიას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი შედგენილია ბიუჯეტის პროექტის შემდგენი კომისიის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის", საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის", საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებებისა და ტექნიკური მითითებების შესაბამისად გასული სამი წლის ფაქტობრივი მონაცემების და მხარჯავი სუბიექტების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვის საფუძველზე.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვითი ნაწილი განისაზღვრა 14131.9 ათასი ლარის ოდენობით. **მათ შორის:**

- ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 13536 ათასი ლარის ოდენობით;
- გრანტები განისაზღვრა 195,0 ათასი ლარის ოდენობით.
- გარდამავალი ნაშთი 400.0 ათასი ლარი.
- მმართველობა და საერთო დანიშნულები ხარჯები შეადგენს 5496.9 ათასი ლარს;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები განისაზღვრა 2050.0 ათასი ლარის ოდენობით;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა 962.0 ათასი ლარის ოდენობით;
- საგანმანათლებო ღონისძიებების სუბსიდიის ხარჯები განისაზღვრა 2120.0 ათასი ლარის ოდენობით;
- დასვენება, კულტურა, სპორტი და რელიგიის ხარჯები განისაზღვრა 2031.0 ათასი ლარის ოდენობით;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განისაზღვრა 1472.0 ათასი ლარის ოდენობით.

*აზრი გამოთქვეს:* ინეზა ქუთათელაძემ, ნუკრი კუპრავამ, ზაზა გეგიამ, მიხეილ ჯანაშიამ და ზვიად ჯოჯუამ. მათ აღნიშნეს, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი არის მისაღები, რადგან მუნიციპალიტეტის რეალობაზეა მორგებული და პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც დღეს მუნიციპალიტეტის წინაშე დგას.

*გაიმართა ღია კენჭისყრა.*

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 9;**
**წინააღმდეგი - 0;**
**თავი შეიკავა - 0.**

*გადაწყვიტეს:* მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი საბჭოს სრული შემადგენლობის მიერ.

**2.** *მოისმინეს:* მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურიას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2023-2026 წლებში მარტვილის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა და კულტურის, სპორტისა და დასვენების სფეროების განვითარება. მან კომისიის წევრებს წარუდგინა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი განსახილველად.

*აზრი გამოთქვეს:* ნუკრი კუპრავამ, და ზაზა გეგიამ. მათ აღნიშნეს, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი შეესაბამება მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ გამოწვევებს. მასში სრულყოფილად არის ასახული მარტვილის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

*გაიმართა ღია კენჭისყრა.*

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 9;**
**წინააღმდეგი - 0;**
**თავი შეიკავა - 0.**

*გადაწყვიტეს:* მოწონებულ იქნეს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი საბჭოს სრული შემადგენლობის მიერ.

სხდომის დასრულების დრო: 15. 20 სთ.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის
სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა
საბჭოს თავმჯდომარე: */ნუკრი კუპრავა/*